საქართველოს ჩემპიონატი

დრიფტში

GDC

Georgian Drift Championship

2026 წლის სპორტული რეგლამენტი

სარჩევი

[პრეამბულა - თავი 1]

[ზოგადი პრინციპები - თავი 2]

[ზოგადი პირობები - თავი 3]

[მონაწილეთა ლიცენზიები - თავი 4]

[GDC ღონისძიებები - თავი 5]

[კლასიფიკაცია - თავი 6]

[რბოლის წესები - თავი 7]

[ადმინისტრაციული შემოწმება - თავი 8]

[დამატებითი წესები - თავი 9]

[სანომრე ნიშნები / სავალდებულო სტიკერები - თავი 10]

[დელეგატები - თავი 11]

[ოფიციალური პირები - თავი 12]

[ღონისძიებაზე რეგისტრაცია, წინა სასტარტო გადასახადი - თავი 13]

[საშვები - თავი 14]

[მონაწილეებთან კომუნიკაცია და ინსტრუქციები - თავი 15]

[ინციდენტები - თავი 16]

[პროტესტი და აპელაცია - თავი 17]

[ჯარიმები - თავი 18]

[ავტომობილის იდენტიფიკაცია - თავი 19]

[საბურავები - თავი 20]

[წონა და აწონვის პროცედურა - თავი 21]

[ავტმობილების საწვავით შევსება/საწვავი - თავი 22]

[უსაფრთხოების ზოგადი დებულებები, მონაწილეთა ქცევის წესები - თავი 23]

[ვარჯიში - თავი 26]

[დაჯილდოების ცერემონია და პრეს კონფერენცია - თავი 27]

[სატელევიზიო/სარეკლამო უფლებები - თავი 28]

[სამართლებრივი დავის და პასუხისმგებლობის შეზღუდვა - თავი 29]

თავი 1 - პრეამბულა

საქართველოს ჩემპიონატი დრიფტში, იგივე "GDC" იმართება „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის" ეგითიდ.

1.1 ორგანიზატორი ეროვნული საავტომობილო ფედერაცია:
„საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია" (სსსფ)
1.2 ჩემპიონატის პრომოუტერი შპს „დრიფტერ ჯი"

„სსსფ"-ს ნებართვის გარეშე და ასევე „სსსფ"-ს „სპორტული კოდექსის" (სსსფ სკ) შესაბამისად, აკრძალულია ნებისმიერი სახის სპორტული რეგლამენტის შემუშავება და ცვლილება.

მიმდინარე წლის სპორტული რეგლამენტი დამტკიცებულია „სსსფ"-ს მიერ და დამტკიცების ნებართვის ნომერია: ----------

დამტკიცებული ან შეცვლილი რეგლამენტი ძალაში შედის დამტკიცების მომენტიდან. თუ რეგლამენტის დამტკიცების/ცვლილების მომენტი დაემთხვა ღონისძიების მიმდინარეობას მაშინ ასეთი დამტკიცება/ცვლილება ძალაში შევა ღონისძიების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ. ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია ღონისძიების უსაფრთხოებასთან, ძალაში შევა დამტკიცებისთანავე.

ღონისძიების სტატუსი - საქართველოს ჩემპიონატი - ეროვნული

რეგლამენტი შედგენილია ქართულ ენაზე.

რეგლამენტში რაც გათვალისწინებული არ არის დაუშვებელია თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული შეჯიბრების დებულებით.

რეგლამენტთან დაკავშირებული განმარტების მიცემა „სსსფ"ს პრეროგატივაა.

თავი 2 - ზოგადი პრინციპები

2.1 საქართველოს ჩემპიონატი დრიფტში იმართება შემდეგი რეგულაციებით:

- საერთაშორისო საავტმობილო ფედერაციის FIA სპორტული კოდექსი და მისი დამატებები;
- საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კოდექსი და მისი დამატებები;
- საქართველოს ჩემპიონატი დრიფტში - რეგლამენტი 2026 და მისი დამატებები
- ღონისძიების დებულება და მისი დამატებები და ცვლილებები
- დრიფტის ტექნიკური რეგულაციები და მისი დამატებები
- ეთიკის კოდექსი
- ანტიდოპინგის რეგულაციები
- უსაფრთხოების სახელმძღვანელო
- ღონისძიების ბიულეტინები და განცხადებები
- შეჯიბრების დირექტორის, შეჯიბრების კომისრებისა და სხვა ოფიციალური პირების მიერ გამოცემული ოფიციალური დოკუმენტები

ამ რეგლამენტში ნებისმიერი ცვლილების შეტანის ან /და დამატების გამოცემა/გამოქვეყნება „სსსფ“ს ნებართვის გარეშე აკრძალულია

2.2 ოფიციალური ენა - ქართული. ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი გამოიცემა ქართულ ენაზე. ასევე შესაძლებელია დოკუმენტების ინგლისურე ენაზე გამოცემაც, მაგრამ გაურკვევლობის შემთხვევაში უპირატესობა და რეგულაციის ფუნქცია აქვს ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ დოკუმენტებს.

თავი 3 - ზოგადი პირობები

3.1 მონაწილის პასუხისმგებლობაა დარწმუნდეს, რომ ყველა მასთან ან მის გუნდთან დაკავშირებული პირი დაიცავს და დააკმაყოფილებს თავი 2-ის მოთხოვნებს. ნებისმიერი მონაწილე, რომელიც ვერ მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ჩემპიონატის რომელიმე
ეტაპზე (რეგისტრაციის შემთხვევაში) ვალდებულია სსსფ-ს წინასწარ აცნობოს წერილობით.
3.2 მონაწილის ვალდებულება და პასუხისმგებლობაა მისი სპორტული ავტომობილი შეესაბამაბოდეს და აკმაყოფილებდეს დრიფტის ტექნიკურ რეგულაციებს.
3.3 ტექნიკური შემოწმებისას მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს ეროვნული ფედერაციის მიერ გაცემული სპორტული ავტომობილის ტენიკური პასპორტი.
3.4 მონაწილეები (გუნდები, ტექნიკოსები, მძღოლები, მეგზურები, ავტომობილების მფლობელი) მონაწილეობას იღებენ ღონისძიებაში საკუთარი პასუხისმგებლობითა და რისკით. ისინი იღბენ სრულ პასუხისმგებლობას „სსსფ“სა და კანონის წინაშე. იღებენ სრულ პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ორგანიზატორისა და მესამე პირების მიმართ.
3.5 ნებისმიერი ცვლილება მიმდინარე რეგლამენტში შესაძლებელია ავტორიზირებული პირების მიერ „სსსფ“ს ნებართვით. ღონისძიების დაწყების შემდეგ რეგლამენტში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ სსსფ-ს ოფიციალური პირების მიერ ბიულეტინის საშუალებით, მაგრამ მხოლოდ უსაფრთხოების მიზეზით ან ფორს-მეჟორულ სიტუაციაში ან რეგლამენტში აშკარა შეცდომის შემთხვევაში ან ოფიციალური პირების რაოდენობასთან დაკავშირებით.
3.6 ღონისძიების პრომოუტერი იტოვებს უფლებას გააუქმოს ან გადაიტანოს ღონისძიება ან რომელიმე რბოლა ზემოთხსენებული მიზეზითა და მოთხოვნით. ასეთის შემთხვევაში მოთხოვნა უნდა შეთანხმდეს „სსსფ“თან.

თავი 4 - მონაწილეთა ლიცენზიები

4.1 ყველა მონაწილე ვალდებულია ფლობდეს მრბოლელის მიმდენარე და აქტიურ ეროვნულ ან საერთაშორისო ლიცენზიას.

4.2 მონაწილეები ვალდებულნი არიან „სსსფ“ს ეროვნული ლიცენზიების კატეგორიების შესაბამისი ან საერთაშორისო სპორტული კოდექსის დანართი L-ის (Appendix L) შესაბამისად ფლობდნენ შესაბამისი ლიცენზიის კატეგორიას.

ეროვნული და საერთაშორისო ლიცენზიის კატეგორიები

საერთაშორისო სპორტული კოდექსის დანართი L (ISC Apeendix L)

თავი 5 – GDC ღონისძიებები

5.1 საქართველოს ჩემპიონატზე დრიფტში, დაიშვებიან ავტომობილები დრიფტის ჩემპიონატის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.
5.2 მონაწილეთა ბრიფინგი უნდა გაიმართოს პირველი ოფიციალური ვარჯიშის დაწყების წინ, კვალიფიკაციის წინ და რბოლის წინ. ბრიფინგის დრო და ადგილი უნდა გამოქვეყნდეს შეჯიბრების დებულებაში. ბრიფინგი იმართბა მონაწილეებისათვის და მათი სპოტერებისთვის. მრბოლელთან ერთად სავალდებულოა ბრიფინგს დაესწროს მისი სპოტერიც. ბრიფინგის გამოტოვება ან/და ადრე დატოვება გამოიწვეს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით პირველ დარღვევაზე. მეორე დარვევის შემთხვევაში ჯარიმა გაორმაგდება. დამატებითი ბრიფინგი შეიძლება ჩაინიშნოს ნებისმიერ დროს შეჯიბრების დირექტორის ან შეჯიბრების ხლემძღვანელის გადაწყვეტილებით.
5.3 2026 წლის საქართველოს ჩემპიონატის თითოეული ეტაპი შედგება შეჯიბრების განრიგისაგან.

საქართველოს ჩემპიონატი დრიფტში – GDC კალენდარი:

1. 10 მაისი - პირველი ეტაპი
2. 14 ივნისი - მეორე ეტაპი
3. 29 აგვისტო - მესამე ეტაპი
4. 10 ოქტომბერი - მეოთხე ეტაპი
5. 11 ოქტომბერი - მეხუთე ეტაპი

თავი 6 - კლასიფიკაცია

6.1 ტიტული „საქართველოს ჩემპიონი დრიფტში“ მიენიჭება მრბოლელს, რომელიც 2026 წლის სარბოლო სეზონის ეტაპების ქულების ჯამით დააგროვებს ყველაზე მეტ ქულას. „სსსფ“ ადასტურებს საბოლოო წლიურ შედეგებს და სატურნირო მდგომარეობას.
6.2 ტიტული „საქართველოს ჩემპიონი“ მიენიჭება გუნდს, 2026 წლის სარბოლო სეზონის ეტაპების ქულების ჯამით დააგროვებს ყველაზე მეტ ქულას. „სსსფ“ ადასტურებს საბოლოო წლიურ შედეგებს და სატურნირო მდგომარეობას.
6.3 გუნდი შედგება მინიმუმ ორი ან მაქსიმუმ სამი მრბოლელისგან.
6.4 გუნდური ქულების დათვლა: გუნდიდან, ინდივიდუალურ ჩათვლაში, საუკეთესო ორი მონაწილის ქულები ჯამდება. ჩემპიონი გუნდი გამოვლინდება სეზონის ბოლოს, ყველაზე მეტი ქულების ჯამით.
6.5 რაიმე დაუძლეველი მიზეზით რბოლის შეწყვეტის შემთხვევაში შესაძლებელია რბოლა გაგრძელდეს მომდევნო ეტაპზე (წინ) ან თუ რბოლა არ განახლდება, მონაწილეებს არ დაერიცხებათ ქულები.
6.6 დაჯილდოების ცერემონია გაიმართება თითოეული რბოლის შემდეგ. დაჯილდოების ცერემონიაზე უნდა გამოცხადდნენ რბოლის გამარჯვებული და პრიზიორები, ასევე გამარჯვებული გუნდის წარმომადგენელი.
6.7 დარღვევისათვის მონაწილე დაჯარიმებული იქნება კომისრების მიერ ფულადი ჯარიმით.
6.8 მეორე ეტაპიდან, გუნდში მონაწილის დამატება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არ მიუღია მონაწილეობა და გვიან შემოუერთდა ჩემპიონატს. არსებული ქულების მქონე მონაწილის გუნდში დამატება არ შეიძლება.

თავი 7 - რბოლის წესები

1.1 სასტარტო პროცედურა.



სასტარტო ხაზი განლაგებულია ტრასის დასაწყისში და წარმოადგენს თითოეული საკვალიფიკაციო თუ წყვილებში გარბენის ოფიციალურ სასტარტო ადგილს. როგორც საკვალიფიკაციო, ისე წყვილში გარბენის დროს, შესაძლოა, სასტარტო მონაკვეთზე განთავსებული იყოს სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები, მაგალითად განლაგებული იყოს „S“ (ესი), რომლის მიზანია შეანელოს ლიდერი ავტომობილი და მისცეს საშუალება მდევარს, შეინარჩუნოს საჭირო სიახლოვე დრიფტის დაწყების მომენტისთვის. „S“ (ესი) უმეტეს შემთხვევაში დალაგებულია კონუსებით. წყვილში დრიფტის დროს თუ წინ მიმავალი ავტომობილი შეეხება ერთ ან მეტ კონუსს - გარბენი შეჩერდება და მოხდება რესტარტი. მონაწილეები რბოლის შეჩერების შესახებ ინფორმაციას მიიღებენ ფლაგ მარშალის, ან წითელი შუქნიშნის მეშვეობით. ფლაგ მარშალის და შუქნიშნის ზუსტი განლაგება განიხილება შეჯიბრამდე - მონაწილეთა ბრიფინგის დროს. თუ კონკრეტულ გარბენზე რომელიმე მონაწილის ბრალეულობით მოხდება მესამე რესტარტი ეს გარბენი მას ჩაეთვლება წაგებად.

1.1.1 წყვილებში გარბენის დროს, როგორც კი პირველი ავტომობილი გადაკვეთს ფინიშის ხაზს, სტარტის მარშალი რთავს 2 წუთიან ტაიმერს, ამ დროში ორივე ავტომობილი უნდა დადგეს სტარტის ხაზთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტომატურად ჩაერთვება 5 წუთიანი ტაიმაუტი, თუ უკვე გამოყენებული აქვს - ჩაეთვლება წაგებად;

1.2 დრიფტის დაწყება.

როგორც საკვალიფიკაციო ისე წყვილებში გარბენის დროს მონაწილე ვალდებულია მოძრაობდეს დრიფტით მოწყვეტის ზოლის გადაკვეთისას.
დეტალური ინფორმაცია დრიფტის დაწყების შესახებ მოცემულია 4.19 პუნქტში.

2 კვალიფიკაცია.

საკვალიფიკაციო ტრაექტორია და დავალება ავტომატურად არის ლიდერის დავალება წყვილებში გარბენის დროს.

2.1 კვალიფიკაციის ფორმატი.

ჩემპიონატის ჩათვლაში, პირველი 8 მონაწილე არ მიიღებს მონაწილეობას კვალიფიკაციაში.
ჩემპიონატის ლიდერი - იქნება კვალიფიკაციით პირველი და ა.შ.



- მე9 პოზიციიდან ზემოთ, ყველა გაივლის 2 (არათანმიმდევრობით) საკვალიფიკაციო გარბენს და დაიკავებენ შესაბამისად მე-9 მე,-10, 24-ე და ა.შ. ადგილებს.
- კვალიფიკაციით გადავა მხოლოდ ის მრბოლელი, რომელიც დააფიქსირებს არანულოვან გარბენს. 0 ქულით - მრბოლელი ეთიშება შეჯიბრს;
- კვალიფიკაციის გარბენების რიგითობა, წინასწარ იქნება ცნობილი - ბრიფინგზე;

კვალიფიკაციის ქულები

კვალიფიკაცია	
1 ადგილი	10
2 ადგილი	8
3 ადგილი	6
4 - 8 ადგილი	5
9 ადგილი	**9**
10 - 16 ადგილი	4
17 + ადგილი	2

2.2 კვალიფიკაციის შეფასების სისტემა.

კვალიფიკაცია ფასდება 100 ქულით რომელიც შედგება სამი კრიტერიუმისგან:

- ტრაექტორია
- კუთხე
- სტილი

2.2.1 ტრაექტორია.

ტრაექტორია არის იდეალური ზოლი, რომელიც მოცემულია ჟიურის მიერ ბრიფინგზე და რომელსაც უნდა გაყვეს მრბოლელი გარბენის განმავლობაში. ქულების დაკლება ხდება, როდესაც მრბოლელი ცდება ჟიურის მიერ მოცემულ „იდეალურ ზოლს“.

ტრაექტორია შედგება კლიპინგ ფოინთებისგან:

- ზონა - ავტომობილი უკანა საბურავებით, მაქსიმალურად ღრმად უნდა ავსებდეს ზონას დასაწყისიდან, ბოლომდე.
- შიდა კლიპინგი (IC) - მონიშნული ადგილი, სადაც ავტომობილი ახლოს უნდა იყოს წინა ნაწილით ან გაიაროს წინა საბურავით.
- თაჩ ენდ გოუ (TG) - მონიშული ადგილი, რომელსაც უბრალოდ უნდა შეეხოს ავტომობილი და არ არის აუცილებელი მისი სრულად შევსება.
- ნოუ გოუ ზონა (No GO) - მონიშნული ადგილი, რომელიც ლიდერმა არ უნდა გადაკვეთოს. მდევარს აქვს უფლება გაიაროს no go ზონაში, თუ ლიდერთან ახლოს არის.

ჟიური ვალდებულია აუხსნას მონაწილეებს ბრიფინგზე, იდეალური ტრაექტორიის შესახებ.

2.2.2 კუთხე .

მოცურებული ავტომობილის კუთხე, რომლითაც გაივლის ტრაექტორიას. კუთხე უნდა იყოს მაქსიმალურად სტაბილური და დიდი. კორექციების შემთხვევაში იწყება ქულების კლება.

2.2.3 სტილი.

სტილში იგულისხმება დრიფტის ემოციური ნაწილი: რამდენად დამაჯერებლად გადის მრბოლელი ტრაექტორიას, როგორ უახლოვდება ზონებს, კედლებს, როგორ იყენებს მანქანის სიმძლავრეს, მუხრუჭის პედალს, რამდენად დამაჯერებელია ინიციაციის დროს, რამდენად მკვეთრი და ჩქარი გადაწყობები აქვს და ა.შ.

3 შეფასება წყილებში გარბენის დროს.

3.1 წყვილებში გარბენი ფასდება იგივე კრიტერიუმებით, რაც კვალიფიკაციაზე. ლიდერმა უნდა შეასწრულოს იგივე დავალება რაც კვალიფიკაციაზე აქვს, მდევარი უნდა მიყვეს იგივე ტრაექტორიაზე, იგივე ან მეტი კუთხით, უნდა მოხდეს სინქრონული გადაწყობები, იყოს

მაქსიმალურად ახლოს
3.2 ლიდერმა უნდა დაასრულოს გარბენი, მიუხედავად მდევრის დაშვებული შეცდომისა, ან განულებისა, თუ მარშალები არ აღმართავენ წითელ დროშებს ან შუქნიშანი არ გაწილდება. ლიდერის განულების მომენტში, ის კონკრეტული გარბენი მთავრდება. ორი გარბენის ჯამში, რომელ მონაწილესაც მეტი ქულა აქვს დაგროვილი - ხდება გამარჯვებული.
3.3 შესაძლებელია დაინიშნოს ორი განმეორებითი გარბენი (OMT) თუ მეორე omt - ს მერე ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, კვალიფიკაციის მიხედვით მაღალი პოზიციის მქონე მრბოლელი გააგრძელებს მონაწილეობას შემდეგ ეტაპზე.
3.4 სტარტის პროცედურა წყვილებში - სტარტის მარშალი უნდა დარწმუნდეს, რომ ორივე მრბოლელი მზად არის და ამის შემდეგ მისცეს სტარტის ნიშანი (თვითონ ან შუქნიშნით). მდევარს აქვს უფლება დადგეს ლიდერთან შედარებით უკან, არა უმეტეს 10 მეტრით და დაიძრას ლიდერზე ადრე, სტარტის მარშალის ან შუქნიშნის მიუხეავად.
3.4.1 შუქნიშნის პროცედურა - ლიდერი უნდა დაიძრას მხოლოდ შუქნიშანზე მწვანე შუქის ანთებისას (3 წამი) არც მანამდე და არც მერე. ამ პროცედურის დარღვევა გამოიწვევს რესტარტს.
3.4.2 რესტარტი - შეიძლება გამოიწვიოს ლიდერის მიერ კონუსის წაქცევამ, სტარტის მარშალის ნიშნის ან მწვანე შუქის ანთებამდე მანქანის დაძვრამ. მესამე რესტარტზე ის კონკრეტული გარბენი წაგებულად ითვლება.

3.5 ქულების კლება.

- ქლიფინგების გამოტოვება
- კორექციები
- საბურავით ტრასიდან გადასვლა
- კუთხის ნაკლებობა
- ძალიან დაბალი ტრაექტორიის გავლის ტემპი

3.5.1 განულება.

- 3 ან 4 საბურავით გზიდან გადასვლა
- ორმაგი ინიციაცია
- დატრიალება
- ოპოზიტური დრიფტი (როდესაც საბურავები მიმართულია საწინააღმდეგო მხარეს)
- დრიფტის შეწყვეტა
- კაპოტის / კარის გაღება დრიფტის დროს

4 TOP24 DE .

4.1 შეჯიბრები გაიმართება TOP24 Double Elimination პრინციპით, რაც ნიშნავს:
TOP24 შედგება ზედა (გამარჯვებულების) და ქვედა (წაგებულების) ბადისგან;
კვალიფიკაციით პირველი 16 - ნაწილდება ზედა ბადეში (1 – 16, 2 – 15 ა.შ.) 17 – 24 ადგილზე გასული გადადის ქვედა ბადეში. ზედა ბადეში წაგებული გადადის ქვედა ბადეში, ქვედა ბადეში წაგებული ეთიშება შეჯიბრს. გამონაკლისი არის ფინალური გარბენი, სადაც მიუხედავად იმისა, რომ ერთი მონაწილე წაგების გარეშე მივიდა ფინალამდე, წაგების შემთხვევაში იკავებს მეორე ადგილს. ფინალში „მეორე სიცოცხლე“ აღარ არის;

ქულების სისტემა TOP24

TOP24 DE	
გამარჯვებული	100
მე-2 ადგილი	80

მე-3 ადგილი	64
მე-4 ადგილი	54
გ.ჯ. 5	48
გ.ჯ. 4	32
გ.ჯ. 3	24
გ.ჯ. 2	16
გ.ჯ. 1	8



5 პროტესტი.

5.1 პროტესტის შესახებ იხილეთ თავი 17

6 ბაი რანი.

6.1 „ბაი რანი“ არ არის, როდესაც მოწინააღმდეგე საერთოდ არ არსებობს. თუ არსებობდა, მაგრამ გაუმართაობის გამო არ გამოდის, ბაი რანი აუცილებელია.

ბაი რანზე მონაწილემ უნდა გადაკვეთოს მოწყვეტის ხაზი იმისთვის, რომ დაამტკიცოს თავისი ავტომობილის გამართულობა. გარბენის დამთავრება არ არის აუცილებელი, ბაი რანი არ ფასდება ჟიურის მიერ;

7 საბურავების შეცვლა.

7.1 წყვილებში გარბენებს შორის, უკანა საბურავების შეცვლა, წნევის კორექტირება დაუშვებელია;

გამონაკლისია - თუ მოხდა კონტაქტი, შეჯიბრის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას მისცეს თუ არა უფლება საბურავის შეცვლის.
კონტაქტის შემთხვევაში თუ დაზიანდა წინა საბურავი, ნებადართულია მისი შეცვლა; საბურავების შეცვლის შემთხვევაში, შეჯიბრის ხელმძღვანელმა შეიძლება ორივე ავტომობილს მისცეს უფლება იმისთვის, რომ ორივე თანაბარ პირობებში იყვნენ.

8 ავარია (შეჯახება)

8.1 თუ გარბენის დროს ორივე ავტომობილი დამოუკიდებლად დაიმტვრა და ვერცერთი ვერ აგრძელებს გარბენს, გამარჯვებულად გამოცხადდება კვალიფიკაციით მაღალი პოზიციის მქონე მონაწილე.
8.2 პირველ გარბენში, კონტაქტის შემდეგ, ჟიურიმ უნდა გამოაცხადოს ბრალეულობა, ის მონაწილე, რომლის ბრალეულობაც არ არის, შეუძლია მოითხოვოს 10 წუთი მანქანის გადასამოწმებლად/გასაკეთებლად, თუ არ იყო საკმარისი, შეუძლია გამოიყენოს კუთვნილი 5 წუთიანი ტაიმაუტი, თუ მაინც ვერ მოესწრო ავტომობილის აღდგენა ან ტექ. კომისარმა არ დაადასტურა ავტომობილის გამართულობა, მონაწილე ითვლება იმ გარბენის გამარჯვებულად, მაგრამ ვერ ახერხებს შემდეგ ეტაპზე გადასვლას. **ტოპ 4 -ში** მსგავსი დაზიანების შემთხვევაში, ტექ. კომისარის და შეჯიბრის ხელმძღვანელის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია დამატებით 10 წუთის მიცემა მრბოლელისთვის რომელიც ინციდენტში გამართლდა, იმისთვის, რომ ფინალური გარბენი შედგეს.
8.3 იმ შემთხვევაშ თუ რბოლა იმართება იმ მრბოლელებს შორის რომელთაც არც ერთს არ აქვს ჯერ წაგება (ანუ ჯერ არ აქვს გამოყენებული ერთი წაგების უფლება) მაშინ ავტომობილის ვერ აღდგენის შემთხვევაში ის მრბოლელი რომელიც გამოცხადდა გამარჯვებულად მოცემულ გარბენში გადავა დამარცხებულების ჯგუფში მაგრამ მომდევნო რბოლას არ ირბოლებს რადგან ავტომატურად ეთვლება წაგებად. მისი მეწყვილე კი ვალდებული იქნება გაიაროს ბაირანი სტანდარტული წესით.
8.4 მსაჯები ეცდებიან დაადგინონ ნებისმიერი კონტაქტის ბრალეულობა, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გამოცხადდეს სარბოლო ინციდენტი, სადაც 10 წუთიანი არცერთ მრბოლელს არ ეკუთვნის;

9 გამაგრილებელი ზონა.

9.1 წინასწარ მოწყობილი ზონა, სადაც პირველი გარბენის შემდეგ მრბოლელებს ხვდებათ გუნდის წევრი და ეხმარება ავტომობილს გაგრილებაში. გამაგრილებელ ზონაში დაუშვებელია ნებისმიერი სახის სერვისი, გარდა გაგრილებისა, (რადიატორზე წყლის მისხმა, ჰაერის დაბერვა) ეს ყველაფერი უნდა მოხდეს 2 წუთიან სასტარტო ვადაში.

10 გასწრება.

10.1 გასწრება არ არის სავალდებულო, მაგრამ დაშვებულია, თუ ყველა ქვემოთ მოცემული პირობა სრულდება:

- ლიდერი აცდენილი უნდა იყოს ტრაექტორიას
- გასწრება შეიძლება მხოლოდ ცხვირის ქლიფინგთან

10.2 თუ გასწრება მოხდება ყველა წესის დაცვით, მდევარი ხდება ლიდერი და უნდა დაამთავროს გარბენი როგორც ლიდერმა. ლიდერს, რომელსაც ლეგალურად გაასწრეს, იმ კონკრეტულ გარბენში ეწერება 0, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მრბოლელი რომელმაც მოახდინა გადასწრება ვალდებულია დაასრულოს გარბენი საკვალიფიკაციო დავალებით. სხვა შემთხვევაშ მასაც დაეწერება 0.

11 წყვილებში გარბენის შეფასების რამდენიმე მაგალითი.

11.1 იმ შემთხვევაში, თუ ორივე გარბენზე მდევარი განულდება ლიდერისგან დამოუკიდებლად, მსაჯები შეადარებენ ორივე მრბოლელის ლიდერის გარბენს, უკეთესი გარბენის მქონე მრბოლელი გაიმარჯვებს.

11.2 თუ ორივე გარბენზე ლიდერი დატრიალდა, გამარჯვებულს გამოვლენა შეუძლებელია და ინიშნება OMT.

თავი 8 - ადმინისტრაციული შემოწმება

8.1 ადმინისტრაციული შემოწმება იმართება ეტაპის ყოველი დღის დასაწყისში. ზუსტი დრო და ადგილი გამოქვეყნებული უნდა იყოს შეჯიბრების დებულებაში.

8.2 მონაწილეები და გუნდები ხელმოწერით ადასტურებენ მათი განაცხადის ფორმას და ღონისძიებაზე გამოცხადებას

თავი 9 - დამატებითი წესები

შეჯიბრის წინა დღეს, მითითებულ დროს, ტექნიკური დათვალიერების გავლა აუცილებელია. ტექ. კომისარი იტოვებს უფლებას, შეჯიბრის განმავლობაში, ნებისმიერ დროს შეამოწმოს ნებისმიერი მანქანა. თუ ტექ. კომისარი ჩათვლის, რომ ავტომობილი არ შეესაბამება უსაფრთხოების ნორმებს, შეუძლია მოხსნას შეჯიბრიდან. ტექ. კომისიაზე წარდგენილი მანქანა უნდა იყოს იმ მდგომარეობაში, როგორც ივლის შეჯიბრს.

ავტომობილი, რომელიც დადგება კვალიფიკაციის სტარტზე, აღარ იცვლება; ვარჯიშზე ავტომობილის შეცვლა ნებადართულია, წინასწარ უნდა ქონდეს გავლილი ტექ. ინსპექტირება;

ერთი ავტომობილით მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ ერთ პილოტს;

მარშალის გამოძახებიდან 2 წუთში, მრბოლელები უნდა იდგნენ სტარტის ხაზთან.

გამახურებელ ზონაში შესულ ავტომობილზე სერვისი აღარ შეიძლება, მხოლოდ 5 წუთიანი ტაიმაუტის შემთხვევაში, დახურულ პარკში.

წინა სასტარტო/გამაგრილებელ ზონაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ 1 მექანიკოსი და გუნდის აკრედიტირებული მედიის 1 წარმომადგენელი.

Competition Timeout

- ყველა მონაწილეს ეძლევა 5 წუთიანი დრო, მხოლოდ ერთხელ, შეჯიბრის განმავლობაში.
- 5 წუთიანი ტაიმაუტის გაცემის ნებართვა აქვს მხოლოდ შეჯიბრის ხელმძღვანელს.
- გამოყენება შეუძლია ნებისმიერ დროს, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.
- უკანა საბურავის შეცვლა აკრძალულია გარბენების დროს, გამონაკლის შემთხვევაში, შეჯახების შედეგად თუ დაზიანდა საბურავი, შეჯიბრის ხელმძღვანელის ნებართვით, შეიძლება გამონაკლისის დაშვება. თუ საბურავი გადაძვრა სანამ კონტაქტი მოხდა, საბურავის შეცვლა დაუშვებელია.
- 5 წუთიანი ტაიმაუტი არის მხოლოდ ავტომობილის შესაკეთებლად და არა საბურავების წნევის შესაცვლელად და დაკიდების სისმტების მოდიფიცირების და პროგრამირებისთვის. მისი გამოყენება არ უნდა მოხდეს სტრატეგიული მიზნების გამო.
- 5 წუთიანი დროის გასვლის შემდეგ, თუ ავტომობილი ვერ შეკეთდა ან ტექნიკურმა კომისარმა არ დაადასტურა მისი გამართულობა, იგი ეთიშება შეჯიბრს.

- ავტომობილის სტარტზე დაგვიანების შემთხვევაში (2 წუთის გასვლის შემდეგ) 5 წუთიანი ტაიმაუტი ავტომატურად ჩაერთვება.
  5 წუთიანი ტაიმაუტის პროცედურა:
- იკრძალება ავტომობილზე ნებისმიერი სახის სამუშაოების დაწყება (მათ შორის კაპოტის ახდა, კარის გაღება, საბურავის მოხსნა და ა.შ.) სანამ შეჯიბრის წარმომადგენელი არ გასცემს ნებართვას. შესაძლებელია მხოლოდ ვიზუალური დათვალიერება. 5 წუთიანი ირთვება იმის მერე, რაც ავტომობილი უსაფრთხოდ არის დახურულ პარკში და შესაძლებელია მუშაობის დაწყება.

თუ ავტომობილი,5 წუთის გასვლის შემდეგ:

- არ იქოქება
- არ არის მიწაზე დასმული
- არ აქვს დაჭერილი საბურავის ბოლტები
- ტექ. კომისარი თვლის, რომ არ არის უსაფრთხო

მაშინ მრბოლელი ეთიშება შეჯიბრს;

კვალიფიკაციაზე ერთნაირი ქულების შემთხვევაში.
უპირატესობა ენიჭება მეორე კვალიფიკაციის გარბენში, მაღალი ქულას. მეორე კვალიფიკაციის ერთნაირი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მაღალი სტილის ქულას, შემდეგ კუთხე, შემდეგ ტრაექტორია.
წყვილებში შეფასების პრინციპზე, ყველა ეტაპის წინ თანხმდება ჟიური.
მრბოლელის ვალდებულება:

- დაესწროს ყველა ბრიფინგს
- წარდგეს გახსნის ცერემონიაზე
- მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ, ორგანიზატორების მიერ წინასწარ დაგეგმილ ფოტო/ვიდეო გადაღებაზე
- დაემორჩილოს დაჯილდოების წესებს (წინასწარ იქნება ცნობილი ბრიფინგზე)
- პასუხისმგებლობა აიღოს გუნდის ყველა წევრზე მათ შორის მედიაზე.

შეჯიბრის დღეს მგზავრის ჩასმა აკრძალულია, გამონაკლის შემთხვევაში (კომპუტერული ჩასწორება, სპონსორების გასეირნება) წინასწარ უნდა მოხდეს შეჯიბრის ხელმძღვანელთან შეთანხმება, ტექ. კომისიაზე ავტომობილის შესაბამისად შემოწმება.
დახურული პარკი

- ყველა მონაწილეს ეძლევა სივრცე - 6 x 6 მეტრი სადაც შეუძლია გაშალოს ტენტი, დააყენოს ტექ. ავტომობილი, სარბოლო ავტომობილი, მოაწყოს მოსასვენებელი სივრცე.
- ყველა სარბოლო ავტომობილს უნდა ქონდეს საფენი, რომელიც დაიცავს ასფალტის საფარს. მინ. 5X3 მეტრი.
- ყველა სივრცეში უნდა იყოს ცეცხლმაქრი მინ. 2კგ გამოსაჩენ ადგილას.
- ყველა ავტომობილი უნდა გაკეთდეს გამოყოფილ სივრცეში, აკრძალულია დახურულ პარკში, კუთვნილი სივრცის გარეთ ავტომობილის ნებისმიერი სერვისი.
- აკრძალულია საწვავის ჩასხმა დაქოქილ ავტომობილში.
- დახურულ პარკში აკრძალულია თამბაქოს მოწევა (მხოლოდ სპეციალურად გამოყიფილ ადგილას)

- აკრძალულია ნებისმიერი სახის ნარკოტიკული საშუალება, ალკოჰოლი დახურულ პარკში.
- ბავშვების ყოფნა დაშვებულია მხოლოდ კუთვნილ (შემოსაზღვულ) სივრცეში.
- დახურულ პარკში, გუნდის წევრების გარდა არავინ არ დაიშვება.
- დახურულ პარკში, ნებისმიერი დონატი, დაბუქსავება, მოცურება - აკრძალულია. მსგავსი დარღვევა არის პირდაპირ დისკვალიფიკაცია და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

თავი 10 - სანომრე ნიშნები და სავალდებულო სტიკერები

ყველა მონაწილემ უნდა აირჩიოს საბორტო ნომერი (რომელსაც არეგულირებს საავტომობილო ფედერაცია) 2-დან 999 ჩათვლით. ნომერი 1 ყველა სეზონზე დარეზერვებულია მოქმედი ჩემპიონისთვის, რომლის გამოყენებაც შეუძლია სურვილისამებრ.
ავტომობილზე სავალდებულო სტიკერები სურათის მიხედვით:

- საქარე მინაზე , სხვა ნებისმიერი სტიკერის დაკვრა აკრძალულია
- მძღოლის კარზე ორივე მხარეს
- წინა და უკანა ბამპერებზე გვერდით, ორივე მხარეს
- წინა და უკანა სანომრე

კომბინიზონზე უნდა იყოს დაკერებული GDC ლოგო (მოწოდებული იქნება წინასწარ ორგანიზატორის მიერ).
აკრძალულია მანქანებზე ნებისმიერი სხვა, შეჯიბრის ორგანიზატორის ლოგოების ან ნებისმიერი სხვა სახის ინტეგრაცია საქართველოს ჩემპიონატზე (აკრძალულია სხვა შეჯბრის ლოგოთი ან და საბრტო ნომერით მონაწილეობა).

თავი 11 – დელეგატები

11.1 თითოეული ეტაპისათვის „სსსფ“ ნიშნავს შემდეგ დელეგატებს:

- ტექნიკური დელეგატი
- უსაფრთხოების დელეგატი
- „სსსფ“ს დამკვირვებელი

11.2 დელეგატების როლია მათი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება გაუწიონ ოფიციალურ პირებს მათი მოვალეობის შერულებისას და დარწმუნდნენ, რომ დაცულია საქართველოს ჩემპიონატის ყველა ნორმატიული დოკუმენტი.

თავი 12 - ოფიციალური პირები

12.1 „სსსფ“ ნიშნავს შეჯიბრის ხელმძღვანელს და შემდგომ ოფიციალურ პირებს:

- შეჯიბრების მდივანი
- მთავარი ტექ.კომისარი
- ჟიურის წევრები
- მარშლები
- სტარტის მარშალი
- მთავარი სამედიციონო ოფიცერი

- უსაფრთხოების ავტომობილის მძღოლი
- სხვა ოფიციალური პირები

12.2 შეჯიბრების ხელმძღვანელს აქვს უმაღლესი ძალაუფლება ღონისძიების მთელი მიმდინარეობის დროს და მხოლოდ მისი პრეროგატივაა:

- ვარჯიშის ან რბოლის შეჩერება ან შეწყვეტა უსაფრთხოებიდან გამომდინარე
- უსაფრთხოების ავტომობილის გამოყენება

12.3 ტექნიკურ დელეგატს სრული პასუხისმგებლობა აკისრია სპორტული ავტომობილების შემოწმებზე. მას აქვს სრული ძალაუფლება ტექნიკურ კონტროლზე. თუ ის რაიმე დარღვევას შენიშნავს უნდა აცნობოს შეჯიბრების ხელმძღვანელს. ტექნიკურ დელეგატს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეამოწმოს ნებისმიერი სპორტული ავტმობილი.

თავი 13 - ღონისძიებაზე რეგისტრაცია, წინა სასტარტო გადასახადი

13.1 საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, მონაწილეობის მსურველმა მრბოლელებმა უნდა გაიარონ ონლაინ რეგისტრაცია მისამართზე - WWW.GASF.GE ან WWW.GASF.CO პირადი გვერდიდან.

13.2 ღონისძიებაზე რეგისტრაციით მონაწილე ათვითცნობიერებს და აღიარებს, რომ მონაწილეობის განაცხადის შევსებიდან ორგანიზატორს და „სსსფ“-ს აძლევს უფლებას გამოიყენოს ღონიძიების მსვლელობიდან მიღებული ფოტო და ვიდეო მასალა.

13.3 საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება უფასოა

13.4 ღონისძიებაზე რეგისტრაციით მონაწილე იღებს ვალდებულებას შეჯიბრებაზე მონაწილეობაზე

13.5 მრბოლელის ან გუნდის ცვლილების შემთხვევში, მრბოლელმა ან გუნდმა წერილობით უნდა მიმართოს შეჯიბრების კომისრებს ეტაპის ვარჯიშის დაწყებამდე

13.6 რეგისტრირებულ მონაწილეს შესაძლებელია დაეკისროს 100 ლარიანი ჯარიმა ადმინისტრაციულ შემოწმებაზე არ გამოცხადებისათვის ან ღონისძიებაზე სრულად არ გამოცხადებისათვის.

13.7 ადმინისტრაციული შემოწმების შემდეგ, მონაწილის საბორტო ნომრის ცვლილება დაუშვებელია.

თავი 14 - საშვები

ყველა პირმა პადოკზე ან ღონისძიების სხვადასხვა მონაკვეთზე უნდა ატაროს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე ორგანიზატორის მიერ, დამტკიცებული და „სსსფ“თან შეთანხმებული საშვი, რომელიც საშვის შესაბამის ადგილას ყოფნის უფლებას აძლევს

თავი 15 - მონაწილეებთან ინსტრუქციები და კომუნიკაციები

15.1 მხოლოდ შეჯიბრების ხელმძღვანელს, თავის კომპეტენციის ფარგლებში აქვს უფლება გასცეს ღონისძიებასთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაცია.

15.2 განცხადებები დარღვევებთან დაკავშირებით უნდა გამოიცეს წერილობით და მონაწილემ უნდა დაადასტუროს ხელმოწერით მისი მიღება.

თავი 16 - ინციდენტები

16.1 „ინციდენტი“ ნიშნავს ნებისმიერ შემთხვევას ან შემთხვევათა სერიას, რომელშიც ჩართულია ერთი ან მეტი მონაწილე ან ღონისძიებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი

თავი 17 - პროტესტები და აპელაცია

17.1 პროტესტი ან აპელაცია მიიღება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კოდექსის შესაბამისად.
პროტესტის და აპელაციიის დეპოზიტურ გადასახადს აწესებს სსსფ ყოველწლიურად
17.2 პროტესტი ან აპელაცია არ მიიღება რბოლის ჟიურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე

თავი 18 - ჯარიმები

18.1 შეჯიბრების ხელმძღვანელმა შეიძლება დააკისროს დამნაშავე მხარეს ნებისმიერი ჯარიმა რომელიც აღწერილია მიმდინარე რეგლამენტში ან დამატების სახით გამოიყენონ ნებისმიერი სასჯელი სპორტული კოდექსის შესაბამისად. ნებისმიერი დარღვევა, რომელიც ცნობილი გახდება რბოლის ხელმძღვანელისთვის შესაძლებელია იქნას გამოძიებული და დამნაშავე მხარე დაჯარიმებული.

18.2 ფულადი ჯარიმა აუცილებელია გადახდილი იყოს ჯარიმის გამოქვეყნებიდან 48 საათის განმავლობაში. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს ეროვნულ ფედერაციაში. გადაუხდელობის შემთხვევაში დამნაშავე მხარე მიიღებს დამატებით სანქციებს, პირველადი დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე.

თავი 19 - ავტომობილის იდენტიფიკაცია

19.1 საბორტო ნომრები

საბორტო ნომრები სპორტულ ავტომობილებზე უნდა იყო განთავსებული:

ავტომობილის ორივე მხარეს

საბორტო ნომრების ზუსტი მდებარეობა აღწერილია მიმდინარე სეზონის ტექნიკურ რეგულაციებში

19.2 ადგილი რეკლამისათვის:

სავალდებულო რეკლამის ადგილი გამოქვეყნებული იქნება დანართის სახით. რეკლამის ადგილი და შიგთავსი შეიძლება იქნეს შეცვლილი რის შესახებაც მრბოლელებს ეცნობებათ ღონისძიებამდე მინიმუმ 3 კვირით ადრე.

სარეკლამო რეგულაციები ან/და დანართი თანხმდება „სსსფ“თან

თავი 20 - დაშვებული საბურავები

20.1 2026 წლის სარბოლო სეზონზე უკან ამძრავ თვლებზე დაშვებულია არაუმაღლეს MAX PERFORMANCE კლასიფიკაციის საბურავისა რომლის დისკის მაქსიმალური დიამეტრი არ აღემატება 18 ინჩს, მაქსიმალური სიგანე არ აღემატება 265მმ-ს, ხოლო გვერდის მაქსიმალური სიმაღლე 40%-ს.

20.2 დაშვებულია ნებისმიერი კლასიფიკაციის წინა საბურავის გამოყენება, დისკის მაქსიმალური ზომა 18 ინჩი.

თავი 21 - წონა და აწონვის პროცედურა

21.1 სპორტული ავტომობილის მინიმალური და მახსიმალური წონა რეგულირდება ჩემპიონატის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით. ავტომობილის აწონვისას, ავტომობილის წონას აფიქსირებს ტექნიკური კომისია.

21.2 მინიმალური ან/და მაქსიმალური წონის დარღვევა გამოიწვევს მრბოლელის გამოთიშვას რბოლიდან.

21.3 მონაწილის ვალდებულებაა ავტომობილის აგორება სასწორზე ღონისძიების ნებისმიერ დროს შეჯიბრების ტექნიკური კომისრების მოთხოვნით. ავტომობილზე მოქმედებს დახურული პარკის წესი იმ მომენტიდან, როცა აწონვის პროცედურა დაიწყება ან ინსტრუქცია გაიცემა. ამ პუნქტში აღწერილი დახურული პარკის წესი მოქმედებს პროცედურის დასრულებამდე. დამატებით ოფიციალურად
განრიგით გათვალისწინებული აწონვისას და ასევე აწონვის ადგილას მოქმედებს დახურული პარკის რეჟიმი, მხოლოდ ავტორიზირებულ პერსონალს აქვს ყოფნის უფლება. აკრძალულია ნებისმიერი სახის ჩარევა.
მონაწილის მიერ აწონვის პროცედურის დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა გამოიწვიო მონაწილის დაჯარიმება ან დისკვალიფიკაცია.

თავი 22 - ავტმობილების საწვავით შევსება/საწვავი

22.1 მონაწილეთათვის სასწვავის მომწოდებელი შეძღუდული არ არის და თავისუფალია თუ ეტაპის დებულება სხვა რამეს არ ითველისწინებს

თავი 23 - უსაფრთხოების ზოგადი დებულებები, მონაწილეთა ქცევის წესები

23.1 მონაწილეთა ქცევის წესები და უსაფრთხოების ზოგადი დებულებები მოქმედებს სრულს ღონისძიებაზე, მიუხედავად იმისა რომელი სესია მიმდინარეობს.

ყველა მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სპორტული კოდექსის დანართი L-ის დებულებებს მრბოლელების ქცევის წესს სატრეკო ავტო რბოლებისას. ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას დამატების მნიშვნელობა აქვს ზემოთ ხსენებულ ინფორმაციასათან.

25.2 მრბოლელის მიერ შესრულებულმა მანევრმა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სხვა მრბოლელებს და საფრთხეში ჩააგდოს ისინი, შეიძლება გამოიწვიოს დამრღვევის დაჯარიმება. იგივე ეხებათ მრბოლელებს, რომლებიც არ იცავენ ღონისძიების სტანდარტებს. ღონისძიების დირექტორმა/ხელმძღვანელმა ნებისმიერი მრბოლელისგან/მონაწილისგან

შეიძლება მოითხოვოს სამედიცინო შემოწმების გავლა ღონისძიების ექიმთან. ღონისძიების ექიმის დასკვნის საფუძველზე მრბოლელს/მონაწილეს შეიძლება უარი ეთქვას ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე/გაგრძელებაზე

25.3 კატეგორიულად აკრძალულია სარბოლო მონაკვეთზე, მათ შორის პიტ ლეიზე მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა, გარდა შემთხვევისა, როცა ეს საჭიროა ავტომობილის უსაფრთხო ადგილიდან გასაყვანად ან/და მითითება არის მიღებული ოფიციალური პირებისაგან.

25.4 გარდა შემთხვევებისა, როცა სხვა რამ არ არის გათვალისწინებული შეჯიბრების დებულებაში სპორტულ ავტომობილზე შეხების უფლება მხოლოდ მრბოლელს აქვს გარდა პიტ ლეინისა, პადოკისა და სასტარტო ბადისა. გამონაკლისის სახით ოფიციალურ პირებს აქვთ უფლება შეეხონ ავტომობილს ნებისმიერ დროს უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

ავტომობილის შეკეთება ნებადართულია მხოლოდ მონაწილის ავტოფარეხში ან ავტოფარეხის წინ, სასტარტო ბადეზე, პადოკზე. რბოლის ან ვარჯიშის დროს გუნდის წევრების ყოფნა სარბოლო მონაკვეთზე დაუშვებელია.

25.5 მონაწილე ავტომობილები, რომლებიც ღვრიან სითხეს სარბოლო მონაკვეთზე, სასწრაფო წესით უნდა გაჩერდნენ სარბოლო მონაკვეთის გასწვრივ უსაფრთხო ადგილას. მრბოლელებს ეკრძალებათ მოძრაობის გაგრძელება, როცა არსებობს ტრასის დაბიძურების საშიშროება.

25.6 მონაწილე ავტომობილების წინა ფარები და უკანა გაბარიტული სანათები უნდა ფუნქციონირებდეს გამართულად, როდესაც გამოცხადდება წვიმის ან ღამის რბოლა მონაწილეები ვალდებულნი არიან აანთონ ფარები.

თავი 26 - ვარჯიში

26.1 რბოლის დღეს, უნდა გაიმართოს მინიმუმ 1 (ერთი) ვარჯიში
26.2 ვარჯიშის შეწყვეტისას ვრცელდება შემდეგი დებულებები:

რბოლის დირექტორს/ხელმძღვანელს უფლება აქვს შეწყვიტოს ვარჯიში სარბოლო მონაკვეთზე ინციდენტის გამო, ან ამინდის გაუარესების გამო ან უსაფრთხოებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში რბოლის დირექტორი/ხელმძღვანელი გასცემს ბრძანებას წითელი დროშების გამოყენების შესახებ, რომლებიც გამოიფინება ყველა მარშლის პუნქტზე.

შეჯიბრების დირექტორი/ხელმძღვანელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ვარჯიში იმდენჯერ და იმდენხანს რამდენჯერაც საჭიროდ ჩათვლის რათა მოხდეს დაზიანებული ავტომობილის გამოყვანა ან სარბოლო მონაკვეთის გაწმენდა.

თავი 27 - დაჯილდოების ცერემონია და პრეს კონფერენცია

27.1 დაჯილდოების ცერემონია გაიმართება თითოული შეჯიბრების დასრულების შემდეგ, დაუყოვნებლივ. დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობის მიღება სავალდებულოა რბოლის გამარჯვებული პირველი სამეულისათვის და გამარჯვებული გუნდისათვის.

დაჯილდოების ცერემონიაზე არ გამოცხადება ისჯება ფულადი ჯარიმით.

ცერემონიაზე, ყველა მრბოლელი ვალდებულია სწორად ეცვას სარბოლო კომბინიზონი.

27.2 ორგანიზატორის მოთხოვნით, შესაძლებელია გაიმართოს გამარჯვებული მრბოლელების პრესკონფერენცია, ასევე დამატებით ყველა ან ინდივიდუალური მრბოლელისათვის.
პრესკონფერენციაზე დასწრება სავალდებულოა.

თავი 28 - სატელევიზიო/სარეკლამო უფლებები

ყველა უფლება ეკუთვნის „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია“ს. „სსსფ“-ს უფლება აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს.

თავი 29 - სამართლებრივი დავის და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ნებისმიერი სახის კომპენსაციის არანაირი მოთხოვნა არ შეიძლება ორგანიზატორის,“სსსფ“ ან და ოფიციალური პირების გადაწყვეტილებებთან ან/და ქმედებებთან დაკავშირებით, თუ ეს უკანასკნელი არ არის უხეში დარღვევა ან/და მიზანმიმართული ზარალის მიყენება